საქართველოს მთავრობის

დადგენილება №80

2024 წლის 14 მარტი

ქ. თბილისი

„ეკონომიკური საბჭოს შემადგენლობის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 დეკემბრის №592 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ეკონომიკური საბჭოს შემადგენლობის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 დეკემბრის №592 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 28/12/2022, 010220030.10.003.023803) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების:

1. პირველი მუხლის მე-8 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 8^1 პუნქტი.

„8^1. **საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე** – საბჭოს წევრი.“.

2. პირველი მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 მუხლი:

„**მუხლი 1^1**

საბჭოს მუშაობაში მონაწილეობის მიღება ეთხოვოთ:

ა) საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარეს;

ბ) საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარეს;

გ) საქართველოს ბიზნესომბუდსმენს.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**